დანართი №2



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ირაკლი მანველიძე

მარინე გვრიტიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში(აწსუ) მიმდინარე წლის 30 და 31 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2019 წლის 16 აგვისტოს N 733** ბრძანების საფუძველზე.

დაწესებულება ავტორიზებულია **2018 წლის 7 სეტქემბრის N61** გადაწყვეტილებით **6** წლის ვადით. ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 364.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების: **„ბუღალტრული აღრიცხვა“ „საოფისე საქმე“, „საფინანსო სერვისები“, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და „ელექტროობა“** ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ ვითარებაში, ორი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით. მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მონაწილეობა ვიზიტში, რადგან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში, არ უნდა იქმნებოდეს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ უნდა იწვევდეს უსდ ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

აწსუ-ს აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური რესურსი, კერძოდ შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და აღჭურვილობა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვაში, აკადემიური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამხმარე პერსონალი კი ახორციელებს როგორც აკადემიურ უმაღლეს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვიზიტისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტის ირაკლი მანველიძის მიერ დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გეგმავს უახლოეს მომავალში ცალკე სტრუქტურული ერთეულის - პროფესიული ცენტრის შექმნას.

ვიზიტისას ექსპერტები დაინტერესდნენ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობით, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ხელმძღვანელებთან გასაუბრება, ასევე, უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით. **(დანართი 1)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.			
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	■
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება	**მუხლი 7 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	□	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

	მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.			
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულების ვებგვერდი ოპტიმიზირებულია შშმ პირებისთვის;
- დაწესებულებას აქვს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკის შენობა მისამართზე: ქ.ქუთაისში, თამარ მეფის ქ.N59. შენობაში განთავსებულია სამკითხველო, წიგნსაცავი, საკონფერენციო დარბაზი, ადაპტირებული სველი წერტილები და სხვა. წიგნსაცავი უზრუნველყოფილია ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემით "ნოვეკ 1230", რომლის გამოყენების შემთხვევაში წიგნები არ დასველდება;
- დაწესებულების ყველა სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია თვითმომსახურების ტერმინალები სტუდენტებისთვის, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის. ტერმინალები საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ელექტრონული სერვისები უნივერსიტეტის სათაო კორპუსში მიუსვლელად;

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.7.

ვიზიტის დროს დათვალიერებული სასწავლო კორპუსების (ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59, ი.ჭავჭავაძის გამზირი N21, ახალგაზრდობის გამზირი N98) სასწავლო გარემო არ არის სრულად ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1.

- პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის გაფორმდეს ხელშეკრულებები, როგორც იმ ორგანიზაციებთან, ვისთანაც დაწესებულებას უკვე აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ითანამშრომლებს მომავალში, და ხელშეკრულებებში იქნება ინფორმაცია თუ რომელი სწავლის შედეგების მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე , რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია ერთდროულად , რა ხანგრძლივობით და სხვა. (მსგავსი შინაარსის რეკომენდაცია წინა ვიზიტის ფარგლებშიც იყო გაცემული)
- პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფისთვის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჩაიდოს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები .
- პროგრამისთვის „საოფისე საქმე“ პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფა მოხდეს უნივერსიტეტის ბაზაზე ან გაფორმდეს ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციასთან.

1.2.

გარდა სტანდარტით მოთხოვნილი მინიმალური ინფორმაციისა, კატალოგში ასევე შესაძლებელია აისახოს, პროგრამები მიმართულებების მიხედვით, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში, უნივერსიტეტის ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისები, აქტივობები, მიღწევები, ფოტომასალა და სხვა სარეკლამო ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ . (მსგავსი შინაარსის რეკომენდაცია წინა ვიზიტის ფარგლებშიც იყო გაცემული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.9.

- ყოველწლიურად შემუშავდეს ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე;

3.2.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის მოეწყოს ვორკშოპები/ტრენინგები/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოდულური პროგრამების სწავლების მეთოდოლოგიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას.
უნივერსიტეტი, ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.
უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით უნივერსიტეტის მისია შეესაბამება საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, გადამოწმებული იქნა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის(შემდგომში დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:**„საოფისე საქმე“, „ელექტროობა“, „საფინანსო სერვისები“ „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“** .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია - პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანოს - აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილებით N 82(18/19). 07.08.2019წ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურები დოკუმენტში „საგანმანათებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა EP – QA“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენიებით N 49(17/18). ამ დოკუმენტს დანართის სახით ერთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია, ხოლო თავი 5 და 6 ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს.

ექსპერტების შეფასებით დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების და დამტკიცებისთვის დადგენილი პროცედურა;

პროგრამაში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის. დანართების სახით- პროგრამის სასწავლო გეგმები, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი,პროგრამის შემადგენელი მოდულები, მათ შორის ქართული ენის მოდული,ასევე მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს “აკაკი წერეთლის საახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი“ (აკ.საბჭოს დადგენილება N28, 5.12.2017) , რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკაზე გაშვების, პრაქტიკის გავლის, შეფასების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების პროცედურას, რომელსაც შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სასწავლო მეთოდური განყოფილების პრაქტიკის სექტორი.
აღნიშნულ დოკუმენტს დანართის სახით ერთვის პროფესიულ პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის დღიური. დღიურს აწარმოებს პროფესიული სტუდენტი,იგი თარიღის მიხედვით გააკეთებს შესრულებული სამუშაოს აღწერილობას,ასევე მიუთითებს აქტივობებისთვის საჭირო საათების რაოდენობას. დღიურს ხელს მოაწერს პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელი პრაქტიკის ობიექტიდან და პრაქტიკის ხელმძღვანელი უნივერსიტეტიდან.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმები, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.
პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს არგუმენტირებული საფუძველი, რომელიც ექსპერტების მიერ შემოწმდა ვიზიტის პერიოდში გამართულ გასაუბრებაზე დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

პროგრამების დეტალური შესწავლის შედეგად ექსპერტებმა გამოავლინეს შემდეგი გარემოებები:

1. **„საოფისე საქმე“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Managment“ საფუძველზე.
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 59 კრედიტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 10 სასწავლო თვეს.
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 89 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 15 სასწავლო თვეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულები ადაპტირებულია წესების დაცვით.
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადასტურებლად შემდეგი არგუმენტები:
1. უნივესრიტეტს ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ მაღალ დონეზე წარმართონ სწავლების პროცესი და ჩამოუყალიბოს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც განაპირობებს სტუდენტების წარმატებულ შრომით კარიერას .
2. მოდულური პროფესიული პროგრამა ,,საოფისე საქმის“ განხორციელებისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალური რესურსები, პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის. კერძოდ: კეთილმოწყობილი აუდიტორია, (კორპუსი 18 ოთახი 310) და ბიბლიოთეკა.
3. პროფესიული პროგრამა „საოფისე საქმე“ არის საკმაოდ მოთხოვნადი, სწავლების მოკლევადიანი პერიოდით და სახელმწიფო დაფინანსებით.
იმერეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობისა და შრომის ბაზარზე არსებულ რეალობის გათვალისწინებით ამ პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა დასაქმდეს: ოფისის მენეჯერის, მდივნის, ხელმძღვანელის თანაშემწის, დოკუმენტაციის მწარმოებლის თანამდებობაზე.
დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის ურთიერთთანამაშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებასთან: **აიპ ფონდი „აფხაზინტერონტი“**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზტის დროს გადამოწმებულ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა , რომ 3-4 პროფესიულ სტუდენტზე მეტი ვერ გაივლის პრაქტიკას აღნიშნულ ობიექტზე. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრას დაწესებულება შეძლებს, თუ აღნიშნული პროგრამისთვის პრაქტიკის ობიექტად განისაზღვრება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული,ან გაფორმდება ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთან.

2. „ელექტროობა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია „ელექტროობა/ Electricity“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე;

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის არის 52 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 9 სასწავლო თვეს.
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის არის 67 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 11 სასწავლო თვეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულები ადაპტირებულია წესების დაცვით.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება დაეყრდნო კურსდამთავრებულთა კვლევას პროფესიასთან შესაბამისობის კუთხით პროგრამის სრულყოფილების შესახებ და მათი დასაქმების მაჩვენებელს, ასევე რეგიონში არსებული საწარმოთა ხელმძღვანელების გამოკითხვებს, სადაც გამოვლინდა მათი დაინტერესება ელექტრიკოსებით. ასევე, დაწესებულება პროგრამის დამატების საფუძვლედ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აწსუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტს აქვს საერთაშორისო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგრანტო პროექტებში, ელექტროობის მიმართულებით, მონაწილეობის წარმატებული გამოცდილება.

3. **„ საფინანსო სერვისები“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის “საფინანსო სერვისების”/ Finance services საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 51 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდებტებისთვის შეადგენს 9 სასწავლო თვეს. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 12 სასწავლო თვეს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის საფუძვლად მიიჩნევს იმას, რომ მას გააჩნია სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსი, ასევე რეგიონის სპეციფიკას და პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ამ სფეროში. ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ 2018 წ. ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა იმერეთის რეგიონში, სადაც გაანალიზებულია:

- დასაქმების მაჩვენებლები სფეროების მიხედვით;
- მოთხოვნადი სპეციალობები(მენეჯერი-21%, მარკეტოლოგი-16%, საბანკო საქმის სპეციალისტი-16%, ბუღალტერი-15%, საბაჟო საქმის სპეციალისტი-14%);
- აწსუ-ს დასაქმებული სტუდენტების სხვადასხვა კომპეტენციების შეფასება;
- ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების არხები;
- პოზიციები, სადაც ძირითადად საქმდებიან აწსუ-ს კურსდამთავრებულები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამატების საფუძვლად მიჩნეულია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო დაფინანსებამ მნიშვნელოვანად გაზარდა ზოგადად პროფესიული განათლებით დაინტერესება და ამ სფეროს ხელშეწყობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმაში დაცულია წინაპირობები და 2 კვირიანი შუალედი წინაპირობიანი მოდულის დაწყებასა და იმ მოდულის დასრულებას შორის, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას. ისე, რომ შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს გარკვეული პერიოდი შედეგის განმეორებით დასადასტურებლად.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ **შპს „მეგა“-სთან (2019წ, მოქმედების ვადა 5 წელი).**

ხელშეკრულებაში გაწერილია პროგრამისა და მოდულის დასახელება, პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან პრაქტიკას,პრაქტიკის ხანგრძლივობა, პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორის ვალდებულებები, შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადების ვადებულება.

რაც შეეხება ბანკთან გაფორმებული მემორანდუმს/ხელშეკრულებას, დაწესებულებას მიღებული აქვს **სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** ქუთაისის ფილიალის მმართველის ცნობა(მიმართვა, 23/07/2019წ N654) რექტორის სახელზე. აღნიშნულ დოკუმეტში გაწერილია, რომ „საბანკო ოპერაციების წარმოების“ ხელშეკრულების ფარგლებში, ბანკი უზრუნველყოფს ყოველწლიურად „საფინანსო სერვისების“ 10 სტუდენტის ბანკის ფილიალებში საწარმოო პრაქტიკის გავლას.

ექსპერტებისთვის ვიზიტამდე შესწავლილ მასალებში პრაქტიკის ხელშეკრულებების და მემორანდუმების საფუძველზე, პროგრამისთვის „საფინანსო სერვისების“ 40 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფა არ დასტურდებოდა იქიდან გამომდინარე, რომ შპს „მეგა“ ხელშეკრულების თანახმად პრაქტიკაზე მიიღებდა 5 პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტს (ერთ მიღებაზე), ხოლო სს „VTB ბანკი“ - წლიურად 10 პროფესიულ სტუდენტს. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები (გაფორმებული 30/08/2019წ.), სადაც პრაქტიკა უზრუნველყოფილია 40 პროფესიული სტუდენტისთვის. პრაქტიკის ობიექტების მონახულებისაშემდეგ, ობიექტებზე პასუხისმგებელ პირებთან და ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მემორანდუმში იყო ტექნიკური უზუსტობა და ორივე პრაქტიკის ობიექტი მზად არის 20-20 პროფესიული სტუდენტის მისაღებად.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ქუთაისის ფილიალის მმართველს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების მიღებაზე, რათაც დადასტურდა მათი მზაობა შეუქმნან ზემოთაღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვს საჭირო გარემო.

4. „ ბუღალტრული აღრიცხვა“

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა „ ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის არის 99 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 17 სასწავლო თვეს.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის არის 129 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 22 სასწავლო თვეს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის საფუძვლად მიიჩნევს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ და ადგილობრივ სპეციფიკას და პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, დასაქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაღალ შანსს ამ სფეროში (ეყრდნობა ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ შრომის ბაზრის კვლევას).
პროგრამის მოდულები ადაპტირებულია წესების დაცვით, თუმცა „მეწარმეობა 3“-ის მოდულში მე-4 შედეგის შეფასების მტკიცებულება გამორჩენილია.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა“ ახლავს სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმაში დაცულია წინაპირობები და რამდენიმე კვირიანი შუალედი წინაპირობიანი მოდულის დაწყებასა და იმ მოდულის დასრულებას შორის, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას. ისე, რომ შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს გარკვეული პერიოდი შედეგის განმეორებით დასადასტურებლად.
დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი **სს სამკერვალო კომპანიასთან „იმერი“** (24/07/2019წ. მოქმედების ვადა არ არის დაკონკრეტებული) გაცნობითი პრაქტიკისთვის. მემორანდუმში გაწერილია პროგრამისა და მოდულის დასახელება, რომლის ფარგლებშიც პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას, სტუდენტების რაოდენობა, და მხარეთა სხვა მოვალეობები.

5. „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ .

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი/Logistics and Port Management“ საფუძველზე.
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 69 კრედიტი,
პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 14 სასწავლო თვეს.
პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის არის 99 კრედიტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 19 სასწავლო თვეს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომელშიც ქვეყნისა და რეგიონის დონეზეა განხილული ლოგისტიკური სერვისების უზრუნველყოფის საჭიროება

ვებგვერდი jobs.ge-ის მიხედვით ცალკეული სატრანსპორტო-გადამზიდავი, სასაწყობო და სადისტრიბუციო კომპანიების ლოგისტიკის ოპერატორის ვაკანსიების განაცხადების შესწავლის საფუძველზე.

დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან:

შპს „ჯეა“.

შპს „სამგზავრო ქუთაისი“;

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ისინი იმყოფებოდნენ შემდეგ ორგანიზაციებში:

- შპს „სამგზავრო ქუთაისი“;
- ააიპ ფონდი „აფხაზინტერონტი“;
- შპს „მეგა“.

ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, მათი შეფასებით ორგანიზაციები, აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, სადაც შესაძლებელია პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- სასწავლო გეგმებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურებით (თავი 5 და 6. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების,განხილვისა და დამტკიცების ფაზა)
- ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- ფაქტობრივი გარემოებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის გაფორმდეს ხელშეკრულებები, როგორც იმ ორგანიზაციებთან, ვისთანაც დაწესებულებას უკვე აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ითანამშრომლებს მომავალში, და ხელშეკრულებებში იქნება ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგების მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე , რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია ერთდროულად , რა ხანგრძლივობით და სხვა.
პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფისთვს გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჩაიდოს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები .
რეკომენდირებულია პროგრამისთვის „საოფისე საქმე“ პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფა მოხდეს უნივერსიტეტის ბაზაზე ან გაფორმდეს ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა(კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ.
ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება 9 მოდულური პროგრამა, კატალოგში ანონსის სახით არის მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილი 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდით https://atsu.edu.ge/images/katalogi-ATSU-Prof%202018-2019.pdf

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გარდა სტანდარტით მოთხოვნილი მინიმალური ინფორმაციისა, კატალოგში ასევე შესაძლებელია აისახოს, პროგრამები მიმართულებების მიხედვით, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში, უნივერსიტეტის ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა პროექტებში, სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისები, აქტივობები, მიღწევები, ფოტომასალა და სხვა სარეკლამო ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ექსპერტების მიერ შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს შესაბამისობის დადგენის მიზნით.

შედარების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში. ვიზიტის დროს გადამოწმდა სტატუსის მინიჭება პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება თუ არა დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით. ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ დაცულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით განსაზღვრული ვადები.

ასევე გადამოწმდა სტატუსშეჩრებული და შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა. სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი დაწესებულებას არ ყავს.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- ემისის ბაზით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში-სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ იგივე პროგრამებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს თავის წიაღში ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებას და/ან ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის მობილობას ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ პროგრამაზე, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც სწავლობდა პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“;
- სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ააიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ აღნიშნული დაწესებულებები ახორციელებენ იმ პროგრამებით სწავლებას, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით;
- მემორანდუმებით ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დამტკიცებულია სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (დადგენილება N157; 28.02.2018 წ). დოკუმენტში გაწერილია სამსახურის მიზნები, ფუნქცია-მოვალეობები, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობებს: სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილება - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი, სპეციალისტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამების სექტორი - პროფესიული პროგრამების სექტორის კოორდინატორი; - 3 - დოქტორანტურის განყოფილება - დოქტორანტურის განყოფილების უფროსი, სპეციალისტი; მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი - მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამებიის განხორციელების შეფასებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; პოლიტიკა, პროცედურები და დანართები; ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა; შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნები. ამ მიზნებისათვის აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება .

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესი ეფუძნება უნივერსიტეტის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს.
დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ყოველ სასწავლო პროგრამაზე სწავლების დაწყების წინ გამოდის რექტორის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო დატვირთვის, სასწავლო გარემოს მიხედვით ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელების გამოყოფის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და საათობრივი ანაზღურებით მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურების ნორმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის, პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის, პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის ფორმისა და უწყისის წარმოების წესის, პროფესიული სტუდენტის, პედაგოგის გამოკითხვის, მეცადინეობაზე დასწრების ოქმის, შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის ფორმების დამტკიცებისა და პროცედურის ვადების განსაზღვრის შესახებ.

პროგრამების შეფასება მიმდინარეობს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის განხორციელებელი პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- შიდა შეფასების ანგარიშები.

ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში, ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რექტორის მიერ 12.12.2018 გამოცემული ბრძანებით N01-04/93 2018 წლის საშემოდგომო მიღების, და 06.06.2019 გამოცემული ბრძანებით N01-04/41 2019 წლის საგაზაფხულო მიღების მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის, პედაგოგის გამოკითხვის ფორმების, მეცადინეობებზე დასწრების ოქმის დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული 2015-2016 წლის ანგარიშებით შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ აკაკი წერეთლის სახემწიფო უნივერსიტეტი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში. წარმოდგენილი პროგრამებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა სასწავლო კორპუსები შემდეგ მისამართებზე: თამარ მეფის ქუჩა N59, ახალგაზრდობის გამზირი N98 და ი.ჭავჭავაძის გამზირი N21.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც დაწესებულებისთვის სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში იხილეთ დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59	18679,00 კვ.მ.
2	ქ.ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N21	3780,00 კვ.მ.
3	ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98	141942,00 კვ.მ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში(წარმოდგენილი პროგრამებისთვის გამოყოფილ სასწავლო კორპუსებში) არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი A/B/C გარემო. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტის თანახმად, „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ძირითადი განმსაზღვრელია არა მხოლოდ სასწავლო გარემო (A გარემო), არამედ რამდენ სტუდენტზე არის გათვალისწინებული B და C სასწავლო გარემოები და ასევე მოდულის წამკითხველი კვალიფიციური კადრების არსებობა.

1. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოს, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო მერხების რაოდენობის მიხედვით;
2. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოსთან ერთად B სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ B სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით;
3. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს A სასწავლო გარემოსთან ერთად C სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ C სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ორ ცვლაში სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში ან ერთი წლის მანძილზე ერთდროულად საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების შემთხვევაში შესაძლებელია 1, 2 და 3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის გაორმაგება.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის ასევე, გათვლისწინებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო რესურსებით და პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფა.

ქვევით იხილეთ დეტალური ინფორმცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით :

1. „საოფისე საქმე“-მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 38.

საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ A/B ინტეგრირებული გარემო განთავსებულია მისამართზე ქ.ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის პრ. N21 და აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით.

A/B ინტეგრირებული გარემო

1.	სამადგილიანი მერხი და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის	7კომპლექტი
2.	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3.	პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი	19 ერთეული
4.	მასწავლებლის კომპიუტერი	1 ერთეული
5.	დაფა	1 ერთეული
6.	პროექტორი	1 ერთეული
7.	პრინტერი	1 ერთეული
8.	ფლეშ-მეხსიერება	1 ერთეული
9.	სადგისი	3 ერთეული
10.	სტეპლერი	1 ერთეული
11.	თემატური თვალსაჩინოება	1 კომპლექტი

ექსპერტთა შეფასებით თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 19 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში, ერთ მიღებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C გარემოთი უზრუნველყოფისათვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან, სადაც ექსპერტების გადამოწმებით დადგინდა, რომ შესაძლებელია ერთბაშად მხოლოდ 3-4 პროფესიული სტუდენტის მიღება .

ექსპერტთა შეფასებით A/B ინტეგრირებული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 19 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში ,ერთ მიღებაზე, მაგრამ C გარემოთი უზრუნველყოფისთვის საჭიროა გაფორმდეს დამატებით მემორანდუმი, ან გამოყენებული იქნეს უნივერსიტეტის ბაზა.

2 . „ელექტროობა“-მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 40.
საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ A,B და C გარემო განთავსებულია აწსუ-ს მე-7 კორპუსში (ახალგაზრდობის ქ. 98) და აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით:

A გარემო

1	ორადგილიანი მერხი და სკამი	10 კომპლექტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3	მასწავლებლის კომპიუტერი	1 ერთეული
4	დაფა	1 ერთეული
5	პროექტორი	1 ერთეული

B გარემო

1.	სტუდენტის მაგიდა და სკამი	20 კომპლექტი
2.	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3.	მასწავლებლის კომპიუტერი	1 ერთეული
4.	პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი	20 ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.	პროექტორი	1 ერთეული
6.	კომბაინი	1 ერთეული
7.	დაფა	2 ერთეული

C გარემო აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ინვენტარით.

ექსპერტთა შეფასებით თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 20 პროფესიულ სტუდენტზე ერთ ცვლაში ,ერთ მიღებაზე.

პროგრამაში გასასწორებელია ტექნიკური უზუსტობა: პროფესიულ პროგრამაზე „ელექტროობა“ , პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტში პროგრამის დასახელება ბოლო აბზაცში შეცდომითაა მითითებული „სავალი ნაწილების შეკეთება“.

3. „საფინანსო სერვისები“- მოთხოვნილი პროფსიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 40.

„საფინანსო სერვისების “ A და B გარემო განთავსებულია აწსუ-ს მე-2 კორპუსში (თამარ მეფის ქ. 59) და აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით:

A გარემო

1	ორადგილიანი მერხი და სკამი	10 კომპლექტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3	დაფა	1 ერთეული
4	პროექტორი	1 ერთეული
5	მასწავლებლის კომპიუტერი	1 ერთეული
6	კომბაინი	1 ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო

1	სტუდენტის მაგიდა და სკამი	22 კომპლექტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3	მასწავლებლის კომპიუტერი	1 ერთეული
4	პროგრამით „ალტა“ აღჭურვილი კომპიუტერი	22 ერთეული
5	ჭკვიანი დაფა	1 ერთეული
6	კომბაინი	1 ერთეული

ექსპერტთა შეფასებით თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, ერთ ცვლაში, ერთ მიღებაზე.

4. „ბუღალტრული აღრიცხვა“- მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 40.

„ბუღალტრული აღრიცხვის“ A და B გარემო განთავსებულია აწსუ-ს მე-2 კორპუსში (თამარ მეფის ქ. 59) და აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით:

A გარემო

1	ორადგილიანი მერხი და სკამი	10 კომპლეტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3	დაფა	1 ერთეული
4	ჭკვიანი დაფა	1 ერთეული

B გარემო

1	სტუდენტის მაგიდა და სკამი	20 კომპლექტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3	პროგრამა „ორისით“ აღჭურვილი კომპიუტერი	20 ერთეული
4	პროექტორი	1 ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5	კომბაინი	1 ერთეული

ექსპერტთა შეფასებით თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, ერთ ცვლაში, ერთ მიღებაზე.

5.„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ -მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 40.

პროგრამა ხორციელდება ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98 და აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარით:

A გარემო

1	ერთადგილიანი მერხი და სკამი	20 კომპლექტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1 კომპლექტი
3	დაფა	1 ერთეული
4	კომპიუტერი	1 ერთეული
5	პროექტორი	1 ერთეული

B გარემო

1	ერთადგილიანი მერხი და სკამი	20 კომპლექტი
2	მასწავლებლის მაგიდა და სკამი	1კომპლექტი
3	დაფა	1 ერთეული
4	მასწავლებლის კომპიუტერი	1 ერთეული
5	პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი	1 ერთეული
6	პროექტორი	1ერთეული
7	პრინტერი	1ერთეული
8	ფლეშ-მეხსიერება	1ერთეული
9	სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობის მოძიების ტექნიკური საშუალება	1ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C გარემოთი უზრუნველყოფისთვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან, სადაც ექსპერტების გადამოწმებით დადგინდა, რომ შესაძლებელია ერთბაშად 100-მდე პროფესიული სტუდენტის მიღება;

ექსპერტთა შეფასებით თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, ერთ ცვლაში, ერთ მიღებაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებით;
- ფაქტობრივი გარემოებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ სასწავლო კორპუსებში, სადაც დაწესებულება აპირებს განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის სათაო კორპუსში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არის - წიგნსაცავის, მომსახურების, ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილება; დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება; საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება; კატალოგიზაციის განყოფილება; ბიბლიოთეკის განვითარებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; მუზეუმი. უნივერსიტეტს ყავს ხელმძღვანელი - დირექტორი, თითოეული განყოფილების გამგე და 5 ბიბლიოთეკარი, ასევე მუზეუმის თანამშრომელი. სულ 55 შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე თანამშრომელი. ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცებული სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (დადგენილება N158; 28.02.2018). დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკის ფუნქცია - მოვალეობები, ბიბლიოთეკის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის პერსონალი და სხვ. ელექტრო რესურსების განყოფილებაში მოცემულია სამეცნიერო ბაზების, ინგლისურ - ქართული და სპეცლექსიკონების, ელექტრო ბიბლიოთეკისა და სასარგებლო ბმულების მენიუ. ასევე განთავსებულია ელ. კატალოგი. დაინტერესებულ პირებს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ოთახის დაჯავშნა. ასევე სამეცნიერო ჟურნალების გაცნობა. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები 9:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე.

სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მუდმივი მიწოდება, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ბიბლიოთეკით შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა; დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნსაცავი უზრუნველყოფილია ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემით "ნოვეკ 1230", რომლის გამოყენების შემთხვევაში წიგნები არ დასველდება;

უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC) , სადაც ასახულია სახელმძღვანელოები, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი პროგრამებისთვის. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სწავლის დაწყებამდე ყველა პროგრამისთვის საჭირო სახელმძღვანელო ემატება ელექტრონულ კატალოგს.წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად.

სხვადასხვა სასწავლო კორპუსები, სადაც დაგეგმილია წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების განხორციელება, უზრუნველყოფილია მოდულებში მითითებული ლიტერატურით.

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, მათი შეფასებით დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნებით;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით;
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოიცავს 900-მდე ერთეულ სახვადასხვა დასახელების ტექნიკას.

2018 წლის სექტემბრიდან დღემდე შეძენილია 74 სამაგიდო კომპიუტერი, 24 ნოუთბუკი,12 პროექტორი და 29 ქსეროქსი. ქ.ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირ N98-ში ფუნქციონირებს თავისუფალი დასწრების ინტერნეტ ლაბორატორია 32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეული სამაგიდო კომპიუტერით. 2019 წლის ბოლომდე უნივერსიტეტი გეგმავს 40 პერსონალური კომიუტერის, 10 ნოუთბუქის და 20 ქსეროქსის შეძენას.

უნივერსიტეტში მოწყობილია ზოგადი სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო ქსელი და საკაბელო ქსელით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია, რაც გამოიყენება დაწესებულების მართვაში.
დაწესებულების ყველა სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია თვითმომსახურების ტერმინალები სტუდენტებისთვის, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის. ტერმინალები საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ელექტრონული სერვისები უნივერსიტეტის სათაო კორპუსში მიუსვლელად;
ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებები შპს „ახალი ქსელებთან“, სს „სილქნეტთან“. ვებ გვერდის ფუქნციონირებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება წამორდგენილია ა(ა)იპ-„საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - გრენასთან“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი გარემოებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანცელარია წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომლის მეშვეობით უნივერსიტეტში ხორციელდება საქმისწარმოება.

კანცელარია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და კანცელარიის დებულებით.

კანცელარიას ემსახურება 13 პერსონალი, მათ შორის 5 არქივის თანამშრომელი და 2 კურიერი.

კანცელარიის ფუნქცია - მოვალეობებია:

1. დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდების სრულყოფა;

2. საქმისწარმოების ერთიანი წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, საინფორმაციო–საძიებო სისტემების, შესრულების კონტროლისა და დოკუმენტების არქივში გადასაცემად მომზადების უზრუნველყოფა;

3. დოკუმენტბრუნვის შემცირება, დოკუმენტების ფორმების უნიფიკაცია;

4. საქმისწარმოების განხორციელება eflow-ს მეშვეობით.

5. უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისათვის eflow–ში დახმარების გაწევა, საქმისწარმოებისა და საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

6. დოკუმენტების საარქივოდ დამუშავება;

7. შემოსული დოკუმენტების eflow–ში დროული განხილვისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაცია, ხელმძღვანელობის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი;

8. დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადაში მათი გავლის, გაფორმებისა და შესრულების კონტროლის რეგულირება;

9. დოკუმენტების დაბეჭდვის, ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება; დოკუმენტების ბლანკების შემუშავება.

10. უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიული გამოყენების უზრუნველყოფა;

11. წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის ორგანიზაცია;

12. კონტროლზე ასაყვანი დოკუმენტების განსაზღვრა;

13. შემოსული კორესპონდენციის დახარისხება და დაგზავნა;

14. უნივერსიტეტის მიერ არქივისათვის ჩასაბარებელი საქმეების ფორმირებისა და გაფორმების სისწორის კონტროლის განხორციელება;

15. უნივერსიტეტის კანცელარიის პერსონალის სამუშაო პირობების ორგანიზაცია.

16.უნივერსიტეტში საარქივო საქმის წარმოების უზრუნველყოფა;

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს კანცელარია და გაესაუბრნენ თანამშრომლებს. მათთან გასაუბრებით ექპერტებმა დაადგინეს, რომ კანცელარიაში ხდება თანამშრომელთა ბრაძანებების აღრიცხვა ბრძანებების წიგნში, ექსპერტებმა ასევე ნახეს მივლინებების რეგისტრაციის წიგნი, აკადემიური საბჭოს და წარომადგენლობითი საბჭოს დადგენილებების სარეგისტრაციო წიგნები. სარეგისტრაციო წიგნები დანომრილია და შეკერილია შესაბამისი წესით.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი გარემოებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- კანცელარიის დებულებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ინსტრუქციები გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში.

დაწესებულების ყველა სასწავლო კორპუსი, სადაც დაგეგმილია წარმოდგენილი პროგრამების განხორციელება, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ცეცხლმაქრის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2019 წლით;

სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ;

დაწესებულებაში არის სამედიცინო პუნქტები და გაფორმებულია ხელშეკრულება მედდასთან, სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია მედიკამენტებით და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ მედდას და გადაამოწმეს მედიკამენტების ვადები, ყველა მათგანი ვადიანია.

წესრიგის დაცვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება კომენდანტთან და დაცვის თანამშრომლებთან; ვიდეოკამერებით კონტროლდება სასწავლო კორპუსების გარე პერიმეტრი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- დაწესებულების შინაგანაწესით;
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით და გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის დროს დათვალიერებული სასწავლო კორპუსების (ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59, ი.ჭავჭავაძის გამზირი N21, ახალგაზრდობის გამზირი N98) სასწავლო გარემო არ არის სრულად ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;

<u>ქვემოთ იხილეთ ინფორმაცია პროგრამების მიხედვით:</u>

ქ.ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N21- პროგრამა საოფისე საქმე.

აღნიშულ მისამართზე დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შენობის პირველ სართულზე, თუმცა ვიზიტის ექსპერტებმა დაათვალიერეს A/B ინტეგრირებული გარემო შენობის მესამე სართულზე. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის საოფისე საქმე, A და B გარემო შესაძლებელია მოეწყოს პირველ სართულზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ.N59-პროგრამები : საფინანსო სერვისები და ბუღალტრული აღრიცხვა.

აღნიშნულ მისამართზე პროგრამებისთვის გამოყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი გარემო მესამე სართულზე, შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, მაგრამ სველი წერტილი განთავსებულია სხვა კორპუსის პირველ სართულზე,სველი წერტილის კარი ვიწროა და ბოლომდე ვერ იღება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტი საჭიროებისამებრ ვერ ისარგებლებს ამ სველი წერტილით.

ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98 -პროგრამები: ელექტროობა, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.

აღნიშნულ მისამართზე პროგრამებისთვის გამოყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი გარემო შენობის მეორე სართულზე პროგრამისთვის **სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა** და მესამე სართულზე პროგრამისთვის **ელექტროობა**. აუდიტორიებამდე მისასვლელი გზა და სველი წერტილი არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოუდგინა ექსპერტებს აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 24 იანვარს N146 დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმა“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ უნივერსიტეტის განვითარების გეგმაში მოიაზრება ლიფტების და დამატებითი სანიტარული კვანძების მოწყობა ეტაპობრივად.

ექსპერტებს დაწესებულებამ ასევე წარმოუდგინა არგუმენტირებული პოზიცია 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულება 5 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გეგმავს დამატებითი ლიფტებისა და სანიტრული კვანძების მოწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ექსპერტები ასევე გაეცნენ უნივერსიტეტის 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმას, სადაც 2019-2020 წლებში დაგეგმილია ინკლუზიური მიდგომების პოლიტიკის შემუშავება და განვითარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი გარემოებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 24 იანვარს N146 დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმით“;
- უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით;
- არგუმენტირებული პოზიციით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებით(2018 წელი).

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების მისია, დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურა, ფაკულტეტები, სამსახურების დებულებები, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, პროფესიული პროგრამებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტები, პრომო და ანიმაციური ვიდეო რგოლები და სხვა.
დაწესებულების ვებგვერდი ოპტიმიზირებულია შშმ პირებისთვის;
ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებგვერდი ასევე იძლევა უკუკავშირის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ-გვერდით https://atsu.edu.ge/index.php/prof-programs/programs-list;
- დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერისიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების განსავითარებლად და დასახული მიზნების მისაღწევად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 9 თებერვალს დამტკიცებულია აწსუ-ს მისია, სტრატეგიული განვთარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სტარტეგიულ დოკუმენტებს თან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთვის სამოქმედო გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის სქემა, სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვისა და შეფასების პროცედურა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის გეგმა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის პრინციპების დაცვით არის შემუშავებული ,,აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა“ 2018–2024 წლებისთვის , რომელიც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში მოხსენიებულია, რომ აწსუ აპირებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას. ზოგადად პროფესიული განათლების მიმართულება აწსუ-ს სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების სტრატეგია 2017 – 2020 წწ. მასში დაწესებულებას გაცხადებული აქვს, რომ გააჩნია პროფესიული განათლებისათვის საჭირო ინსტიტუციური კავშირები, ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა, შესაბამისად ის ხელს შეუწყობს მსურველს შეიძინოს პროფესიული ცოდნა, გამოიმუშაოს და /ან დახვეწოს შრომითი უნარ-ჩვევები წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის. აღნიშნულ სტრატეგიული დოკუმენტებში მოცემულია პროფესიული პროგრამების განვითარებისთვის დაწესებულების ხელთ არსებული მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2017 წლის პროფესიული პროგრამების სექტორის სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემულია ინფორმაცია განსახორციელებელი აქტივობის სიხშირის შესახებ, ასევე მოცემულია ინფორმაცია აქტივობის შემსრულებლის და შესრულების ხარისხის შესახებ (შესრულებულია ნაწილობრივ, სრულად, თუ არ შესრულებულა).ასევე ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა 2018 და 2019 წლის პროფესიული პროგრამების სექტორის მუშაობის გრაფიკები, მაგრამ შესრულების შესახებ ანგარიშები დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიური საბჭოს დადგენილებით N47 (17/18) აწსუ-ს მისიის; სტრატეგიული განვითარების გეგმისა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი); სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგის; სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ https://atsu.edu.ge/index.php/component/edocman/47-2017-2018;
- აკაკი წერეთელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიით 2017 – 2020;
- პროფესიული პროგრამების სექტორის მუშაობის გრაფიკებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია ყოველწლიურად შემუშავდეს ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე;

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბერს ბრძანებით №132/ნ დამტკიცებული წესდებით; სტრუქტურა განთავსებულია დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვებგვერდზე; სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და უფლებამოვალეობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით;
დაწესებულების პერსონალია: რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის აპარატის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესიული პროგრამების კოორდინატორი, რეესტრის მწარმოებელი, დეკანი. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა აკადემიური თანამდებობის დაკავება, აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით და აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით;
ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და დაწესებულებს მიერ განსაზღვრულ წესებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესით, სტრუქტურით და საშტატო განრიგით ;
- დაწესებულების აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- დაწესებულების ვებგვერდით ;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დიდი ნაწილი არის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, არიან მოწვეული პედაგოგებიც.
პროფესიული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოზე მიღების პროცედურები გაწერილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“(თავი VII. მუხლი 17.) .აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია **და/ან** პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“(თავი VII. მუხლი 16.) ასევე გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი და მისი უფლება-მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელები დანიშნული არიან აღნიშნული წესის გათვალისწინებით (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N 82 (18/19) 7.08.2019წ).
ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეულ პედაგოგებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება როგორც დარგის, ასევე სწავლების კუთხით და შესაბამისად მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს. თუმცა ზოგიერთ პირად საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები(შესაბამისი დარგის მიმართულებით) და CV-ში მითითებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები პირად საქმეებში არ დევს. უკეთესია პირად საქმეებში იდოს CV-ში მითითებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი;
ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პერსონალს. გასაუბრებებით გამოვლინდა, რომ მათ აკადემიურ პროგრამებზე სწავლების დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, თითოეული მათგანი ჩართული იყო პროგრამების შემუშავებაში(საინიციატივო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფებში) და კარგად იცნობდა პროგრამას და მოდულებს. ნაწილმა აღნიშნა, რომ მოდულური პროგრამების სწავლების ნაკლები გამოცდილება აქვთ.

ამ ეტაპზე დაწესებულებაში 124 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტია.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

ქვემოთ წარმოდგენილია დაწესებულების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა პროგრამების მიხედვით:

1.„საოფისე საქმე“

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი -15;

2. „ელექტროობა“

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი -12;

3. „საფინანსო სერვისები“

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი -12;

4. „ბუღალტრული აღრიცხვა“

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი- 10;

5.„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი -18;

მიუხედავად 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნის რეკომენდაციისა, წარმოდგენილი პროგრამებში ჩართული პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმე, შრომის კოდექსის შესაბამისად შედგენილი შრომითი ხელშეკრულება და CV-ს ფორმა ერთნაირი არ იყო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით;
- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის მოეწყოს ვორკშოპები /ტრენინგები /საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოდულური პროგრამების სწავლების მეთოდოლოგიაში.

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად(იხილეთ ქვესტანდარტი 3.2). პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს წინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია პროფესიული პროგრამის და მოდულების დასახელება და შრომის კანონმდებლობის ის არსებითი პირობები, რომელიც გათვალისწინებული იქნება მხარეებს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებაში. შრომით ხელშეკრულებებით დასტურდება დაწესებულების და პერსონალის თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ექსპერტთა მიერ ადამიანური რესურსის გადამოწმებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

მოთხოვნილი პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 198-ით, იმ შემთხვევაში თუ პროგრამისთვის „საოფისე საქმე“ პრაქტიკის ობიექტად განისაზღვრება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, ან გაფორმდება ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთან. ვიზიტის დროს გადამოწმებულ პრაქტიკის ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა , რომ 3-4 პროფესიულ სტუდენტზე მეტი ვერ გაივლის პრაქტიკას. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრას დაწესებულება შეძლებს სწავლის დაწყებამდე.

ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	ა. ქართულენოვანი მოდულური პროგრამის ქართულენოვანი ა. ქართულენოვანი	მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მუშავდება ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საოფისე საქმე (მოდულური)	IV	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	ქ.ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის პრ. N21	0	38
2	ელექტროობა (მოდულური)	III	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98	0	40
3	საფინანსო სერვისები (მოდულური)	III	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ.N59	0	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	V	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ.N59	0	40
5	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (მოდულური)	IV	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 0413	69	99	ქართული	ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98	0	40

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი(სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად)

09.09.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: